აწსუ–ს სტუდენტების ჩართულობისა და კმაყოფილების კვლევა

აწსუ მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური

დეკემბერი,2017–იანვარი,2018

კვლევის მიზანი:

- სტუდენტთა ჩართულობისა და აქტივობის შესწავლა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ პროექტებსა და ღონისძიებებში;
- სტუდენტთა კმაყოფილების შესწავლა, უნივერსიტეტის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

გამოკითხვის ჩასატარებლად გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი კვლევის მეთოდები.

გამოკითხვაში სულ მონაწილეობდა 1955 სტუდენტი სხვადასხვა ფაკულტეტებიდან.



2. სწავლების საფეხური



3. გაგიმართლდათ თუ არა მოლოდინი აწსუ-ში სწავლით?



4. როგორ შეაფასებდით?



5. გთხოვთ შეაფასოთ სასწავლო პროცესის მიმდინარეობა



6. როგორ შეაფასებდით აწსუ-ს იწფრასტრუქტურას?




262
448
509
297
275
483
668
400
162
136
207
354
488
296
458
159
292
399
378
609
სასწავლო/სამეცნიერო-
კვლევითი
ლაბორატორიები
სააქტო და
საკონფერენციო
დარბაზები
სპორტული
მოედნები/დარბაზები
ჰიგიენური კვანძები


207
382
469
297
390
174
260
384
318
679
164
236
252
152
593
სარეკრეაციო
ზონები
კვების ობიექტი
საერთო
საცხოვრებელი

7. სტუდენტური ცხოვრება არ არის მხოლოდ სწავლა. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა?





8. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში?



9. რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთვის საერთაშორისო თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაციის პროცესი?

9.1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:



9.2. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა საერთაშორისო მობილობის პროგრამაში?



10. ინფორმირებული ხართ თუ არა აწსუ-ში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებული მოქმედი რეგულაციების შესახებ?



11. თქვენი აზრით, გამოიყენება თუ არა გამჭვირვალე კრიტერიუმები სტუდენტის ცოდნის შეფასებისას?



12.სარგებლობთ თუ არა ელექტრონული დეკანატით და როგორ შეაფასებდით მის ეფექტურობას?



ელ. დეკანატთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- *ქულების დაგვიანებით დაფიქსირება;*
- *არასრულყოფილი ან ზოგ შემთხვევაში არასწორი ინფორმაცია;*
- *ტექნიკური გამართვის აუცილებლობა (ნავიგაციის სირთულე, სტუდენტებს უჭირთ შესვლა ან ინფორმაციის ნახვა);*
- *რთული და ნაკლებ მიმზიდველი დიზაინი.*

13. თქვენი აზრით, რამდენად ითვალისწინებს აწსუ პროგრამების შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის კანონიერ ინტერესებს?



14. თქვენი აზრით, რამდენად გამჭვირვალე და სამართლიანია სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი?



15. თქვენი აზრით, რამდენად ეფექტიანად უზრუნველყოფს და დროულად წარმართავს აწსუ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას?



16. გთხოვთ შეაფასოთ აწსუ-ში სტუდენტების საჩივრების განხილვის მექანიზმების ეფექტიანობა?



17. შეგქმნიათ თუ არა პრობლემები უნივერსიტეტის რომელიმე სტრუქტურულ ერთეულთან ურთიერთობისას?



გთხოვთ, მიუთითოთ კონკრეტული სტრუქტურული ერთეული



18. თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა უნივერსიტეტი სტუდენტების განსხვავებულ მოთხოვნებს, სპეციალურ საგანმანათლებლო თუ სხვა საჭიროებებსა და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში?



19. მიიღეთ თუ არა ინფორმაცია სწავლების დაწყებისთანავე უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა და დახმარების, სტუდენტური სერვისების შესახებ?



20. ფლობთ თუ არა ინფორმაციას, უნივერსიტეტში არსებული კარიერული მხარდაჭერის სერვისის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული პროფესიული ორიენტაციისა და სხვა საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელებას?



21. უზრუნველყოფს თუ არა აწსუ კურიკულუმის გარეშე დაგეგმილი აქტივობების (სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი) წახალისებასა და სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობას?



22. მიგიღიათ თუ არა სტიპენდია, დახმარება ან სხვა სახის შეღავათი სწავლის საფასურის გადახდისას?



23. თქვენი აზრით, რამდენად გამჭვირვალე და საჯაროა ინფორმაცია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ?



24. სარგებლობთ/გისარგებლიათ თუ არა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომით?



25. თქვენი აზრით, რამდენად საკმარისია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო და სხვა სახის ლიტერატურა?



26. როგორ შეაფასებდით უნივერსიტეტში სამედიცინო დახმარების სერვისის ეფექტურობას?



27. რომელი წყაროებიდან იღებთ ინფორმაციას უნივერსიტეტში დაგეგმილი და მიმდინარე აქტივობების შესახებ? (მიუთითეთ ყველა შესაბამისი პასუხი)



28. თქვენი აზრით, საუნივერსიტეტო ცხოვრების რომელი ასპექტები საჭიროებენ პირველ რიგში გადაწყვეტას?



29. იცნობ თუ არა აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს, პლაგიატის შესახებ არსებულ რეგულაციებს?



30. თავიდან რომ მოგიწიოთ უნივერსიტეტის არჩევა, ჩააბარებდით თუ არა აწსუ-ში?



რეკომენდაცია საუნივერსიტეტო გარემოსა და სწავლის პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით:

- *ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (აუდიტორიები, კვების ობიექტი, გათბობა, ჰიგიენური კვანძები.)*
- *სწავლების თანამედროვე მეთოდები, მეტი პრაქტიკა და ახალი სასწავლო ლიტერატურა;*
- *თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში;*
- *ბიბლიოთეკის გამრავალფეროვნება და სამკითხველო დარბაზების გაუმჯობესება;*
- *სტუდენტებზე მორგებული სასწავლო განრიგი;*
- *მეტად კვალიფიციური კადრებისა და ახალგაზრდა ლექტორების მოწვევა;*
- *სტუდენტებისა და ლექტორ–მასწავლებლების ლექციებზე დასწრების კონტროლი.*

ზოგადი მიგნებები და ტენდენციები

- გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა კმაყოფილია აწსუ-ში სწავლისათვის არსებული პირობებით.
- გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას და სასწავლო პროცესის ორგანიზებას აფასებს როგორს კარგს ან დამაკმაყოფილებელს, თუმცა პრობლემურ საკითხად რჩება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესში.
- გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა ასევე როგორს კარგს ან დამაკმაყოფილებელს აფასებს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას. პრობლემურ საკითხად რჩება ჰიგიენური კვანძები, კვების ობიექტები, სპორტული მოედნები და დარბაზები, საერთო საცხოვრებელი.
- სტუდენტთა უმრავლესობა აქტიურად არის ჩართული ტრენინგ–სემინარებსა და საჯარო ლექციებში, სტუდენტურ პროექტებში. მნიშვნელოვან ნაწილს მიუღია მონაწილეობა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, საუნივერსიტეტო ღონისძიებებში, სხვადასხვა სექციების მუშობაში (ინტერესის მიხედვით), საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების განხილვაში. სამწუხაროდ, მაღალი არ არის სტუდენტთა ჩართულობა სპორტულ შეჯიბრებებში, სხვადასხვა ტიპის კვლევებში, აწსუ სამეცნიერო პიკნიკში, სტუდენტური თვითმმართველობის პროექტებში.
- დაბალია სტუდენტთა მონაწილეობის მაჩვენებელი საერთაშორისო მობილობის პროგრამებში.
- მიუხედავად იმოსა, რომ გამოკითხულ სტუდენტთა უდიდესი ნაწილი ინფორმირებულია აწსუ-ში მოქმედი შეფასების სისტემის შესახებ და მიიჩნევს, რომ ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, მაინც მაღალია არაინფორმირებულ სტუდენტთა და იმ სტუდენტთა რიცხვი, რომლებიც შეფასების სისტემას აფასებენ როგორც არაგამჭვირვალეს.

- გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა სრულად ან ნაწილობრივ კმაყოფილია ელექტრონული დეკანატის ფუნქციონირებით, თუმცა გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები: ქულების დაგვიანებით დაფიქსირება; არასრულყოფილი ან ზოგ შემთხვევაში არასწორი ინფორმაცია; ნავიგაციის სირთულე, რთული და ნაკლებ მიმზიდველი დიზაინი.
- გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს პროგრამების შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის კანონიერ ინტერესებს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი გამჭვირვალე და სამართლიანია, ეფექტიანად უზრუნველყოფს და დროულად წარმართავს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. ასევე დამაკმაყოფილებლად აფასებენ სტუდენტების საჩივრების განხილვის მექანიზმების ეფექტიანობას.
- გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობას პრობლემები არ შექმნია უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან, თუმცა გარკვეული პრობლემები ფიქსირდება სამდივნოებთან, დეკანატთან და საგამოცდო ცენტრთან ურთიერთობისას.
- გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობის აზრით, უნივერსიტეტი ნაწილობრივ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებულ მოთხოვნებს, სპეციალურ საგანმანათლებლო თუ სხვა საჭიროებებსა და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
- გამოკითხულთა უმრავლესობა ადასტურებს, რომ მიიღო ინფორმაცია სწავლების დაწყებისთანავე უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა და დახმარების, სტუდენტური სერვისების შესახებ და ფლობს ინფორმაციას, უნივერსიტეტში არსებული კარიერული მხარდაჭერის სერვისის შესახებ, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კურიკულუმის გარეშე დაგეგმილი აქტივობების წახალისებასა და სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობას, ინფორმაცია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ გამჭვირვალე და საჯაროა.

- გამოკითხულთა მეოთხედზე მეტი სარგებლობს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომით, დაახლოებით ნახევარს არ ჰქონია გამოყების საჭიროება.
- მიუხედავად საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივი და სისტემატური შევსებისა, გამოკითხულ სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო და სხვა სახის ლიტერატურა არ არის საკმარისი.
- გამოკითხული სტუდენტები უნივერსიტეტში დაგეგმილი და მიმდინარე აქტივობების შესახებ ინფორმაციას იღებს კორპორაციული ელ.ფოსტის, ოფიციალური ვებ–გვერდისა და Facebook-გვერდის, საინფორმაციო დაფების საშუალებით, ასევე ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და სხვა სტუდენტებისგან. მხოლოდ მცირე ნაწილი აცხადებს, რომ ვერ იღებს ინფორმაციას.
- გამოკითხულთა აზრით, პირველ რიგში გადაწყვეტას საჭიროებენ საუნივერსიტეტო ცხოვრების შემდეგი ასპექტები: სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი აუდიტორიები, თანამედროვე სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა, სტუდენტური ცხოვრების გააქტიურება, დამსაქმებლების მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ასევე ხაზს უსვამენ სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის, მეტი პრაქტიკისა და ახალი სასწავლო ლიტერატურის; სტუდენტებზე მორგებული სასწავლო განრიგის; მეტად კვალიფიციური კადრისა და ახალგაზრდა ლექტორების მოწვევის; სტუდენტებისა და ლექტორ–მასწავლებლების ლექციებზე დასწრების მკაცრი კონტროლის საჭიროებას.